კადმოსი.ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი 16.2024: 198-213
განსახილველად მიღებულია: 4/3/2024
დასაბეჭდად მიღებულია: 2/4/2024
CC BY-NC

კვლევის ანგარიში
RESEARCH REPORT

მაია დამენია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
maia.damenia.1@iliauni.edu.ge
DOI: 10.32859/kadmos/16/198-213

ციფრული პროსოპოგრაფია და საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული ბაზა*

ლორენს სტოუნის ფორმულირებით, პროსოპოგრაფია წარმოადგენს მეთოდოლოგიას, რომელიც ინდივიდუალური ბიოგრაფიული ანალიზის ნაცვლად, ორიენტირებულია ადამიანთა ჯგუფური მახასიათებლების სისტემატურ გამოვლენაზე. ეს მიდგომა ეყრდნობა კოლექტიური ბიოგრაფიული მასალის შედარებით შესწავლას, რაც საშუალებას იძლევა, გამოიკვეთოს ცალკეული ინდივიდების ცხოვრების მსგავსებები და განსხვავებები (Stone 1971).

კეტრინ კიტს-როჰანი, ლორენს სტოუნისგან განსხვავებით, წარმოადგენს პროსოპოგრაფიას, როგორც ანალიტიკურ ინსტრუმენტს, რომელიც მრავალი ინდივიდის შესახებ შეგროვებული მონაცემების ანალიზის მეშვეობით ხელს უწყობს სხვადასხვა სახის ინტერპერსონალური კავშირების იდენტიფიკაციას; სოციალური, პოლიტიკური, იურიდიული, ეკონომიკური და ინტელექტუალური ინსტიტუციების ჩარჩოებში მათი ფუნქციონირების გაგებასა და ანალიზს (Keats-Rohan 12/1, 2000). ეს განმარტება ხაზს უსვამს პროსოპოგრაფიული კვლევის რაოდენობრივსა და თვისობრივ ასპექტებს, რომლის დროსაც მეთოდოლოგიური პროცესი მოიცავს რაოდენობრივ, თვისობრივ და ინტერპრეტაციის ეტაპებს. რაოდენობრივი ეტაპის დროს ხდება ვრცელი ემპირიული მონაცემების სისტემატიზაცია და დაგროვება;

* სტატია იბეჭდება რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სტრუქტურირებული სადოქტორო საგანამანათლებლო პროგრამების განვითარების გრანტის (DP2016_23) ფარგლებში.

თვისობრივ ეტაპზე საჭიროა კავშირების ტიპოლოგიური დიფერენცირება და შედარებითი ანალიზი; მიღებული შედეგების კონტექსტუალიზაცია კონკრეტული ისტორიული, გეოგრაფიული და ქრონოლოგიური ჩარჩოს შიგნით ხდება უკვე კვლევის ბოლო - ინტერპრეტაციის ეტაპზე.

ამგვარად, პროსოპოგრაფია წარმოადგენს კომპლექსურ ისტორიოგრაფიულ მეთოდს, რომელიც საზოგადოებრივი სტრუქტურების და მოღვაწეობის ფორმების ღრმა გაგებისთვის იყენებს ინდივიდუალური ცხოვრების ნარატივების, სერიული წყაროების კოლექტიურ ანალიზს.

თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები ფუნდამენტურად ცვლის ისტორიული პროსოპოგრაფიის მეთოდოლოგიურ პარადიგმას. კომპიუტერული ანალიტიკისა და მონაცემთა დამუშავების ინოვაციური ხელსაწყოები საშუალებას იძლევა, ისტორიკოსებმა გამოავლინონ ისეთი ფაქტობრივი კავშირები და ტენდენციები, რომლებიც ტრადიციული, მანუალური კვლევის მეთოდებით მიუწვდომელი იყო. ციფრული ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარებამ ისტორიულ კვლევებში ახალი ანალიტიკური მიდგომები დანერგა, რომლებიც ეყრდნობა დიდი მონაცემების (Big Data) პრინციპებს და საშუალებას აძლევს ისტორიკოსებს, განახორციელონ ხანგრძლივი ისტორიული პერიოდების კომპლექსური ანალიზი, სისტემურად დაამუშაონ პირველწყაროები და მულტიდისციპლინური პერსპექტივიდან გამოიკვლიონ წარსული. ციფრული პროსოპოგრაფია წარმოადგენს ინტერდისციპლინურ სინთეზს, რომელიც აერთიანებს კლასიკურ ისტორიოგრაფიულ მიდგომებსა და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაძლებლობებს. სამეცნიერო ნაშრომებში აღნიშნულია, რომ ტექნოლოგიური ინსტრუმენტების ინტეგრაცია ისტორიოგრაფიულ პრაქტიკაში ფუნდამენტურად ცვლის ისტორიული კვლევის მასშტაბებსა და ინტენსივობას. ეს იძლევა მიკრო და მაკრო ანალიზის სინთეზის საშუალებას, რაც ჩანს ინდივიდუალური ბიოგრაფიული ნარატივების და ფართო სოციალური ტენდენციების ერთდროულ გამოკვლევაში; გაფართოებული ქრონოლოგიური ჩარჩოები შესაძლებელს ხდის, ისტორიული პროცესები დიაქრონული პერსპექტივით გაანალიზდეს; იქმნება ასევე ისტორიული ცოდნის წარმოქმნისა და ვერიფიკაციის ახალი სტრატეგიები. ციფრული ინსტრუმენტები ისტორიკოსებს უზრუნველყოფს უპრეცედენტო ანალიტიკური სიზუსტისა და მნიშვნელოვნად გაფართოებული მასშტაბის კვლევითი პოტენციალით. ეს მოიცავს არაერთგვაროვანი პირველწყაროებისა და მეტამონაცემების ინტეგრირებულ დამუშავებას.

არსებული პროსოპოგრაფიული ბაზები

მასშტაბით ყველაზე მოცულობითი პროსოპოგრაფიული მონაცემთა ბაზა, სავარაუდოდ, ბიზანტიური სამყაროს პროსოპოგრაფიაა Prosopographies of Byzantine Worlds (PBW).[1] ეს ონლაინ პლატფორმა მოიცავს ბიზანტიურ წყაროებში 641-1261 წლებში ნახსენებ ყველა პიროვნების შესახებ არსებულ მონაცემებს. ბაზა დიდი მოცულობითა და კომპლექსურობით გამოირჩევა. იგი მოიცავს 60000-მდე ფაქტოიდს — კატეგორიზებულ ინფორმაციულ ერთეულებს, რომლებიც ერთ ან რამდენიმე პიროვნებას ეხება. ფაქტოიდების მესამედი ნარატიული ხასიათისაა და ისტორიულ მოვლენებს ეხება. 2010 წლიდან, 10000 პიროვნების შეყვანის შემდეგ, ბაზას დაემატა საძიებო ფუნქციები. ყველა ფაქტოიდს ახლავს წყაროზე მითითება. ძიება შესაძლებელია ფაქტოიდების ტიპების მიხედვით: ავტორობა, განათლება, საქმიანობა, მფლობელობა, სარწმუნოება და სხვა. ასევე შესაძლებელია საძიებო სიტყვებით ფაქტოიდების ტექსტში ძიება ლოგიკური ოპერატორების გამოყენებით.

იმისათვის, რომ მაღალსტრუქტურირებული მონაცემთა ბაზები შეიქმნას, პირველადი წყაროების ანალიზის საფუძველზე პროსოპოგრაფებმა უნდა შექმნან მეორეული წყაროები. მკვლევრებმა ამ ეტაპზე უნდა შექმნან მონაცემთა ბაზა პირველწყაროების გამოკვლევის შედეგად და დაადგინონ პიროვნებებს შორის კავშირები. ამ კვლევის შედეგია ციფრული პროსოპოგრაფიის „ახალი თაობის“ მონაცემთა ბაზის — „მაღალსტრუქტურირებული მონაცემთა ბაზის“ — შექმნა.

ბიზანტიური სამყაროს პროსოპოგრაფიულ მონაცემთა ბაზაში (PBW) ინფორმაცია ორგანიზებულია მკაფიოდ განსაზღვრული მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით: კონკრეტული წყარო (S) განსაზღვრულ ლოკაციაზე (L) ადასტურებს ფაქტობრივ ინფორმაციას (F) კონკრეტული ისტორიული პიროვნების (P) შესახებ. ამ მიდგომით ფორმირებული ფაქტოიდები წარმოადგენს მკვლევრის ინტერპრეტაციის შედეგს და არ არის ყოვლისმომცველი ხასიათის, რაც იწვევს პოტენციურ წინააღმდეგობებს პიროვნებებთან დაკავშირებულ მონაცემთა ერთობლიობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტოიდების ტიპოლოგიზაცია და კლასიფიკაცია მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ გამოწვევას წარმოადგენს.

მხოლოდ ტექსტის სტრუქტურირება არ იყო საკმარისი ერთმანეთთან დაკავშირებული Prosopography of Anglo-Saxon England (PASE),[2] და

1 https://pbw2016.kdl.kcl.ac.uk/ (11.02.2024).

2 https://pase.ac.uk/ (11.02.2024).

Clergy of the Church of England Database (CCEd)[3] ბაზებისთვის, ამიტომ ეს ბაზები იყენებენ არა მხოლოდ სტრუქტურირებულ ფაქტოიდებს, არამედ მულტისტრუქტურულ მიდგომას, რომელიც მოიცავს რელაციურ სქემებს სხვადასხვა ზედაპირზე (თეიბლზე) განლაგებული ობიექტისთვის (პირები, გეოგრაფიული ადგილი, მფლობელობა და სხვ.) მათ შორის კომპლექსური კავშირების ასახვის მიზნით. მკვლევრების მუშაობის მეთოდოლოგია და წყაროების დამუშავების პროცედურები კრიტიკული მნიშვნელობისაა არა მხოლოდ ისტორიული მონაცემთა ბაზების შექმნისა და ფუნქციონირებისთვის, არამედ ფართომასშტაბიანი ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, რომელიც მულტიდისციპლინური კვლევითი მეთოდების მხარდაჭერაზეა ორიენტირებული.

კლასიკური ანტიკური პერიოდის პროსოპოგრაფიული კვლევა დიდწილად ემყარება ციფრულ რესურსებს, რომლებიც უზრუნველყოფს ისტორიული პიროვნებების სისტემური იდენტიფიცირებისა და ანალიზის შესაძლებლობას. ათენის ისტორიული პიროვნებების კვლევისთვის მნიშვნელოვანია Attica საიტზე ინტეგრირებული Persons of Ancient Athens (PAA)[4] ციფრული კოლექცია, რომელიც აერთიანებს 10000-ზე მეტი ათენელი მოქალაქის შესახებ მონაცემებს და უზრუნველყოფილია მრავალპარამეტრული საძიებო ფუნქციონალით.

რომაული იმპერიის პროსოპოგრაფიული კვლევა ეფუძნება Prosopographia Imperii Romani (PIR)[5] პროექტს, რომელიც განხორციელდა ბერლინ-ბრანდენბურგის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ისტორიული სტანდარტული გამოცემის ციფრულ ადაპტაციაზე. ამ სისტემის მეთოდოლოგიური თავისებურება მდგომარეობს ისტორიული პიროვნებების მონაცემთა როგორც ციფრულ ბაზასთან, ისე ტრადიციულ გამოცემებთან დაკავშირებაში.

ეგვიპტის ისტორიის გვიანი ხანის პროსოპოგრაფიული კვლევა ეფუძნება მულტილინგვურ წყაროთმცოდნეობით მიდგომას, რომელიც მოიცავს ბერძნულ, ლათინურ, ეგვიპტურ და სხვა ტექსტუალურ მონაცემებს Trismegistos[6] ბაზიდან. ამ პროექტში გამოიყენება XML-ზე დაფუძნებული ელექტრონული კორპუსი, რომელიც ნახევრადავტომატურ რეჟიმში ახორციელებს სახელების იდენტიფიცირებას პაპირუსებისა და სხვა ტექსტუალური მონაცემებიდან.

3 https://theclergydatabase.org.uk/about/cced-publications/ (11.02.2024).

4 https://attica.artsci.utoronto.ca/ (11.02.2024).

5 https://pir.bbaw.de/#/overview (11.02.2024).

6 https://www.trismegistos.org/ref/about.php (11.02.2024).

Prosopographia Ptolemaica (PP)[7] წარმოადგენს ლუვენის უნივერსიტეტის ანტიკური ისტორიის ფაკულტეტის სისტემურ მეცნიერულ პროექტს, რომელიც თავდაპირველად ფოკუსირებული იყო ეგვიპტის მოსახლეობის რეკონსტრუქციაზე ჩვ.წ.აღ-მდე 300 წლიდან ჩვ.წ. აღ-ით 30 წლამდე პერიოდისთვის, შემდეგ კი გაფართოვდა რომაულ და ბიზანტიურ ეპოქებამდე. ამ მიდგომამ შედეგად მოგვცა 25723 ბერძნული სახელი, რომელთაგან თითოეული მიბმულია შესაბამის ტექსტთან Trismegistos ბაზაში.

რეგიონული სპეციფიკის მქონე პროსოპოგრაფიული ბაზის მაგალითია DIME Online: Prosopographie zu Soknopaiu Nesos,[8] რომელიც კონცენტრირებულია ფაიუმის რეგიონში მცხოვრებლების იდენტიფიცირებაზე ჩვ.წ.აღ.-მდე მეშვიდე საუკუნიდან ჩვ. წ. აღ-ით მეხუთე საუკუნემდე.

ონომასტიკური მიდგომითაა განხორციელებული Lexicon of Greek Personal Names (LGPN) [9] პროექტი, რომელიც 1972 წელს ინიცირებული იყო ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ და 1996 წლიდან ოქსფორდის უნივერსიტეტში განხორციელდა. ის წარმოადგენს ყოვლისმომცველი ანტიკური ბერძნული ონომასტიკონის შექმნის მცდელობას. ამ პროექტის მიზანია ანტიკური პერიოდიდან მეექვსე საუკუნემდე ყველა ბერძნული სახელის მოგროვება, რაც მოიცავს ლიტერატურულ, ეპიგრაფიულ, პაპიროლოგიურ, ნუმიზმატიკურ და სხვა ტიპის მატერიალურ წყაროებს. ამჟამად ბაზა მოიცავს 250000 მონაცემს, ხოლო 2008 წლიდან მიმდინარეობს XML ფორმატში ტრანსფორმაცია ონლაინ ძიების ოპტიმიზაციისთვის, სამომავლოდ სრული TEI-XML სტანდარტზე გადასვლის მიზნით.

აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომების ადაპტაცია ქართულ პროსოპოგრაფიულ კვლევაში დაიწყო 2015 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტში. პროფესორ ნინო დობორჯგინიძის ხელმძღვანელობითა და თამარა კალხიტაშვილის, რატი გუმაშვილისა და თამთა თხელიძის თანამშრომლობით შეიქმნა საქართველოს 1921-37 წლების პროსოპოგრაფიული მონაცემთა ბაზა.[10] შემდგომი ეტაპი გულისხმობდა ბაზის გაფართოებას პირველი რესპუბლიკის (1918-21 წლები) პერიოდის მონაცემებით, ხოლო 2017

7 https://www.arts.kuleuven.be/oudegeschiedenis/english/research/prosopographia-ptolemaica (11.02.2024).

8 https://www.uni-heidelberg.de/fakultaeten/philosophie/zaw/aegy/institut/dimeonline.html (11.02.2024).

9 https://www.lgpn.ox.ac.uk/ (11.02.2024).

10 https://prosopography.iliauni.edu.ge/ (11.02.2024).

წლიდან მუშაობა მიმდინარეობს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების[11] მასალების ინტეგრაციაზე, რაც წარმოადგენს ქართული ციფრული ჰუმანიტარული მეცნიერების მნიშვნელოვან ეტაპს.

საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული ბაზა[12] ბაზის მოდელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტში 2022 წლიდან ხორციელდება პროსოპოგრაფიული მონაცემთა ბაზის შექმნის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს კათოლიკურ მისიებში მოღვაწე ისტორიული პიროვნებების სისტემურ კვლევას, რომელიც მიზნად ისახავს რელიგიური მისიების ისტორიის სისტემურ ანალიზს. ამ კვლევით პროექტს ფინანსურ მხარდაჭერას უწევს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, რომელიც 2021 წლიდან აფინანსებს მულტიდისციპლინურ კვლევით პროექტს HE-21-977 „XVII-XIX საუკუნეების ევროპული რელიგიური მისიების წყაროთა ინტერპრეტაციისათვის. საქართველო ადრეული გლობალური ისტორიისა და მოდერნულობის პერსპექტივიდან“[13] რომელიც შეისწავლის საქართველოს როლს ადრეული გლობალიზაციისა და მოდერნიზაციის პროცესების კონტექსტში.

კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული ბაზის კონცეპტუალური მოდელის ფორმირებისას განხორციელდა არსებული პროსოპოგრაფიული ბაზებისა და რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის სისტემური ანალიზი. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა კარლ პიროს მეთოდოლოგიურ ნაშრომს *Datenbank- und Informationsmanagement in der Historischen Sozialforschung, Eine praxisorientirte Einführung* [მონაცემთა ბაზებისა და ინფორმაციის მენეჯმენტი ისტორიულ სოციალურ კვლევაში, პრაქტიკაზე ორიენტირებული შესავალი] (Pierau 2002), რომელიც წარმოადგენს ისტორიულ სოციალურ კვლევაში მონაცემთა ბაზებისა და ინფორმაციის მენეჯმენტის პრაქტიკულ სახელმძღვანელოს.

ვეთანხმებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის ლალი კახიძის 2019 წლის კრიტიკულ შეფასებას, რომელიც აღნიშნავს, რომ პიროს მონოგრაფიაში მოძველებული პროგრამული

11 https://society.iliauni.edu.ge/ (11.02.2024).

12 https://missio.iliauni.edu.ge/ka (11.02.2024).

13 პროექტის ხელმძღვანელი: ნინო დობორჯგინიძე; კოორდინატორი: მაია დამენია; მონაცემთა ბაზისა და ვებგვერდის შემუშავება: თაზო მინდიაშვილი; მონაცემთა ბაზის სტრუქტურა და დიზაინი: რატი გუმაშვილი.

უზრუნველყოფის ტიპები ფიგურირებს, თუმცა მონაცემთა ბაზების სტრუქტურული ორგანიზაციის პრინციპები კვლავ აქტუალურია და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით რელევანტურია. ამ კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პიროს მონაცემთა ბაზის დაგეგმვისთვის ჩამოყალიბებულ ფაზების კონცეპტუალურ მოდელს, რომელიც მოიცავს ექვსეტაპიან სტრუქტურას, თითოეული ეტაპის პარალელური დოკუმენტირების აუცილებლობით.

1. სპეციფიკაციის შემუშავება და მოთხოვნების ანალიზი წარმოადგენს პრაქტიკული ამოცანის ფორმულირების და არსებული ინფორმაციის კრიტიკული შესწავლის პროცესს, რაც მოიცავს ტექნიკური პრობლემების არაფორმალურ აღწერას.

2. სამდონიანი არქიტექტურის კონცეპტუალური გეგმა ითვალისწინებს ფორმალური დანიშნულების სისტემაზე გადასვლას, რაც აუცილებელს ხდის მონაცემთა განხილვას სამ სხვადასხვა დონეზე: გარე დონე (მომხმარებლის ვიზუალური ინტერფეისი), კონცეპტუალური დონე (სტრუქტურული სქემის ყოვლისმომცველი ხედვა) და შიდა დონე (მონაცემთა სქემების, ჯგუფებისა და წვდომის საშუალებების ტექნიკური დეტალები).

3. ლოგიკური გეგმა მოიცავს სემანტიკური მონაცემთა მოდელის ტრანსფორმაციას მონაცემთა ბაზების მენეჯმენტის სისტემის მიერ გამოყენებულ მონაცემთა მოდელზე. ეს პროცესი ორეტაპიანია: კონცეპტუალური სქემის ავტომატური გარდაქმნა სამიზნე მონაცემთა ბაზის მოდელად და რელაციური სქემის ოპტიმიზაცია ნორმალიზაციისა და ჭარბ მონაცემთა შემცირების გზით.

4. მონაცემთა განმარტება ითვალისწინებს მნიშვნელობების დიაპაზონების, მიმართებებისა და ხედვების ზუსტ განსაზღვრას.

5. ფიზიკური გეგმა მოიცავს მონაცემთა შენახვის კონკრეტული სტრუქტურული ენის (ხის სტრუქტურა, ინდექსები) განსაზღვრას შიდა დონეზე.

6. განხორციელებისა და შენარჩუნების ფაზა ითვალისწინებს განახლებებისა და ცვლილებების მუდმივ კონტროლს.

საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული ბაზის მოდელის შემუშავების საწყის ეტაპზე დამყარდა კოლაბორაცია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის ციფრულ ლაბორატორიასთან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანამშრომლობა არსებობდა საქართველოს პროსოპოგრაფიის პროექტის ფარგლებში, რომელიც 2015 წლიდან ხორციელდებოდა და მოიცავდა წყაროთა მოძიება-დამუშავებისა და რედაქტირების პროცესებს.

პროექტის დაგეგმვის საწყისი ეტაპიდან გათვალისწინებული იყო კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის ისტორიული კონტექსტი.

პირველწყაროებზე დაყრდნობით შეიქმნა მონაცემთა ბაზა, რომელიც ამჟამად XVII-XVIII საუკუნეების პერიოდს მოიცავს. პროექტის სამომავლო ხედვა გულისხმობს მონაცემთა ბაზის კომპლექსურ შევსებას 1845 წლამდე, რაც წარმოადგენს კათოლიკური მისიების საქართველოში ოფიციალური მოღვაწეობის ისტორიული პერიოდის დასრულებას. ეს ქრონოლოგიული ჩარჩო განისაზღვრა რუსეთის იმპერიის მიერ უკანასკნელი მისიონერების გაძევებითა და ქართული წიგნებისა და სახელმძღვანელოების ბეჭდვა-გავრცელების აკრძალვით.

საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიულ ბაზას საფუძვლად უდევს ზოგადი დანიშნულების პროგრამული ენა – PHP და შექმნილია Laravel ჩარჩოს (ფრეიმვორკის) გამოყენებით. ბაზის მართვის სისტემა შემუშავდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის ციფრული ჰუმანიტარიის ლაბორატორიის ტექნიკური მხარდაჭერით. მონაცემთა ბაზის სტრუქტურა ორგანიზებულია წყაროს, მასზე მიბმული ისტორიული პიროვნებებისა და რეგისტრირებული ფაქტოიდების ურთიერთკავშირის საფუძველზე. არსებული პროსოპოგრაფიული ბაზების სტრუქტურული ანალიზისა და დასამუშავებელი პირველწყაროების სპეციფიკის გათვალისწინებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის მაშინდელ დოქტორანტებთან – თამარა კალხიტაშვილთან და რატი გუმაშვილთან თანამშრომლობით, შერჩეულ იქნა მაღალსტრუქტურირებული (ახალი სტილის) ინკლუზიური, ანუ ღია მონაცემთა ბაზის ფორმა, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული მონაცემთა ბაზის მოდელის შექმნა.

საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული ბაზის ვებგვერდი და სამომხმარებლო მხარე

საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული ბაზის სამომხმარებლო ინტერფეისი შექმნილია მინიმალისტური დიზაინის პრინციპების შესაბამისად, რაც ეფუძნება „ნაკლები მეტია“ (less is more) კონცეპტუალურ მიდგომას. ამ დიზაინის ფილოსოფია ორიენტირებულია მომხმარებლისთვის მაქსიმალურად ოპტიმიზირებული და კომფორტული ციფრული გარემოს შექმნაზე, რაც უზრუნველყოფს კვლევითი პროცესების ეფექტურ დაგეგმვასა და განხორციელებას. მინიმალისტური მიდგომა უზრუნველყოფს ინფორმაციის მოზღვავების თავიდან აცილებას და ორიენტირებულია ფუნქციურ ელემენტებზე, რაც ხელს უწყობს მკვლევრებისთვის შემეცნებითი დატვირთვის შემცირებას და კონცენტრაციის კვლევითი ამოცანების შესრულებაზე ორიენტირებას. ამგვარი ინტერფეისის დიზაინი მნიშვნელოვნად აი-

ოლებს ნავიგაციას და ინფორმაციაზე წვდომას პროსოპოგრაფიული კვლევის კონტექსტში.

მთავარი გვერდის ინტერფეისი და ნავიგაცია – ბაზის მთავარი გვერდი წარმოადგენს ძირითად სამუშაო პლატფორმას, რომელიც მომხმარებლებს უზრუნველყოფს სისტემის ცენტრალური ინფორმაციით, ნავიგაციის ინსტრუმენტებით, სპეციალიზებული ძიების ფუნქციებით პირისა და წყაროს მიხედვით, ადგილმდებარეობისა და ფაქტოიდების მოძიების შესაძლებლობით. თითოეული კატეგორია ასახავს მიმდინარე რაოდენობრივ მაჩვენებლებს, რაც ხელს უწყობს ბაზის მასშტაბის შეფასებას.

სისტემა აღჭურვილია ინფორმაციული ბიულეტენის გამოწერის ფუნქციით, რომელიც მოითხოვს რეგისტრაციას ელექტრონული ფოსტისა და სახელის მითითებით, რაც მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სტატისტიკური ანალიზისთვის. ამავდროეულად, უზრუნველყოფილია ნებისმიერ ეტაპზე გამოწერის შეწყვეტის შესაძლებლობაც.

ბაზა ფუნქციონირებს მულტილინგვური პრინციპით: ძირითადი ორენოვანი სტრუქტურა (ქართული და იტალიური) და ინგლისურენოვანი ინფორმაციული რესურსები, მოქმედებს ინტერაქტიული ენების გადართვის სისტემა, რაც ზრდის ბაზის ხელმისაწვდომობასა და ინტერნაციონალურ გამოყენებას.

ბაზაში ნავიგაცია ორგანიზებულია ჩამოსაშლელი მენიუს პრინციპით, რომელიც მკვლევრებს უზრუნველყოფს წყაროების, პირებისა და ადგილების გვერდებზე გადასვლის შესაძლებლობით, ფაქტოიდების მონაცემების მოძიების ფუნქციონალითა და ინდექსგვერდებზე ინტეგრირებული ფილტრების სისტემით. ძიების ოპტიმიზაცია მიღწეულია სპეციალიზებული ფილტრების დანერგვით, რომლებიც მოთავსებულია ყველა ძირითადი კატეგორიის ინდექსგვერდზე.

სურ. 1. მთავარი გვერდი

წყაროების კატალოგიზაციის სისტემა – წყაროების რეგისტრაცია განხორციელდა კომპლექსური მეტამონაცემების სისტემის საფუძველზე, რომელიც მოიცავს ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას (სახელწოდება, თემატური კლასიფიკაცია, ქრონოლოგიური ჩარჩო), კორესპონდენციულ მახასიათებლებს (ადრესატი/ადრესანტი, კომუნიკაციური კონტექსტი), ფიზიკურ და ციფრულ ლოკალიზაციას (შენახვის ადგილი, შიფრი), ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას დოკუმენტის ტიპის მითითებით (საარქივო მასალა, ელექტრონული რესურსი, მონოგრაფია), ფორმალურ ჟანრობრივ განსაზღვრას (წერილი, რელაციონე, ოფიციალური დოკუმენტი), ლინგვისტურ მახასიათებლებს ენობრივი იდენტიფიკაციით (ქართული, იტალიური, ლათინური, ფრანგული), ინსტიტუციონალურ ატრიბუციას (პასუხისმგებელი ორგანოები, გამომცემლები). ეს მეტამონაცემთა სისტემა უზრუნველყოფს ინტერდისციპლინური კვლევის შესაძლებლობებს.

სურ. 2. წყაროები

პროსოპოგრაფიულ მონაცემთა სისტემა – ბაზაში რეგისტრირებული პირები კატალოგიზებულია კომპლექსური პროსოპოგრაფიული მახასიათებლების საფუძველზე, რომელიც მოიცავს პიროვნების იდენტიფიკაციას (ანთროპონიმური მონაცემები, გენდერული ატრიბუცია), რელიგიურ-კონფესიურ კუთვნილებას (სარწმუნოებრივი იდენტიფიკაცია, ეკლესიური კუთვნილება, ორდენი), იერარქიულ პოზიციონირებას (ეკლესიური და ადმინისტრაციული სტატუსი), გეოგრაფიულ ლოკალიზაციას (დაბადების, მოღვაწეობის, გარდაცვალების ადგილები). ეს სისტემა ხელს უწყობს რთული პროსოპოგრაფიული კვლევების განხორციელებას.

სურ. 3. პირები

ფაქტოიდების მონაცემთა არქიტექტურა – მონაცემები სამ სვეტადაა ორგანიზებული. მარცხენა სვეტში მოცემულია ზოგადი აღწერილობა. აქვეა მონაცემები ფაქტოიდის ტიპთან და მასთან დაკავშირებული პირების შესახებ. წყაროს შესახებ გამოტანილია მეტამონაცემები: გამგზავნი, მიმღები, წყაროს ტიპი, თემა, ენა და გამომცემელი. ფაქტოიდის სრული ტექსტი მეორე სვეტშია განთავსებული, რომელსაც უკავშირდება პირები, ადგილები და წყარო ჩამოსაშლელი მენიუს ფუნქციით. თითოეულ მათგანზე დაჭერით გადავდივართ მათ შიდა გვერდებზე. მეორე სვეტის ქვედა რეგისტრშია განთავსებული რუკა, რომელზეც დატანილია ფაქტოიდთან დაკავშირებული ადგილ(ებ)ი.



სურ. 4. ფაქტოიდები

პირველწყაროების კორპუსი (მარჯვენა სვეტი) – ტექსტუალური რეპოზიტორი ფუნქციონირებს როგორც პირველწყაროთა სრული ტექსტუალური კორპუსი, რომელიც აღჭურვილია ინტრატექსტუალური ნავიგაციით: ინტეგრირებული სწრაფი ძებნის ალგორითმის გამოყენებითა და კონტექსტუალური ინდექსირებით ტექსტის სისტემატური მოძიების ფუნქციონალის გამოყენებით.

იმის გათვალისწინებით, რომ პირველწყაროები წარმოადგენს ბაზის წყაროთმცოდნეობით პრიორიტეტს, სისტემა უზრუნველყოფს ციფრული ექსპორტის ფუნქციონალს ავტონომიური ვიზუალიზაციისა (ცალკე ფანჯარაში დოკუმენტის გახსნის რეჟიმი) და მულტიფორმატული ექსპორტის (PDF და XML ფორმატებში ფაილების ჩამოტვირთვის) შესაძლებლობას. მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ასევე ბილინგვური ხელმისაწვდომობა პირველწყაროებზე, რომელიც წარმოდგენილია პარალელურად ორიგინალურ ენაზე და ქართული თარგმანის სახით. ეს ფუნქციონალი უზრუნველყოფს კვლევების მეთოდოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილებას და შესაძლებელს ხდის პირველწყაროთა ეფექტურ გამოყენებას სხვადასხვა ანალიტიკურ კონტექსტში.



სურ. 5. ნარატივი

გეოგრაფიული ლოკალიზაციის სისტემა – ფაქტოიდებთან, წყაროებთან თუ პირებთან დაკავშირებული ადგილების ძიება შესაძლებელია სარეგისტრაციო გვერდიდან სახელის, ადგილის ტიპის (ქალაქი, სოფელი, დასახლება, უბანი, დაბა და ა. შ.) და ანბანური რიგის მიხედვით. ეს მიდგომა ხელს უწყობს სპაციალური ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევების განხორციელებას.

სურ. 6. ადგილები

გლოსარიუმი – ბაზის სამომხმარებლო მხარეს განთავსებულია გლოსარიუმიც, ფაქტოიდების ტექსტში არსებული ტერმინების განმარტებისთვის გამოყენებულია RegEx ტექნიკა, რომელიც საშუალებას იძლევა, დარეგისტრირდეს ტერმინი და მისი აღწერა, შემდეგ კი jquery ბიბლიოთეკის ბაზაზე მომზადებული მოდულით ჩაიტვირთოს ამა თუ იმ ტექსტში არსებული ტერმინების განმარტებები სწრაფი მინიშნებების სახით. ამ სისტემის მეშვეობით ხდება კვლევითი პროცესის ოპტიმიზაცია და იქმნება ინტუიტიური, ერუდიციული კვლევითი გარემო, რომელიც ხელს უწყობს მეცნიერული ტექსტების ეფექტურ და სწრაფ ინტერპრეტაციას.

სურ. 7. გლოსარიუმი

საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული ბაზის სამართავი პანელი

საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიულ ბაზას საფუძვლად უდევს ზოგადი დანიშნულების პროგრამული ენა – PHP და შექმნილია Laravel ჩარჩოს (ფრეიმვორკის) გამოყენებით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის ციფრული ჰუმანიტარიის ლაბორატორიის დახმარებით მომზადდა ბაზის მართვის სისტემა მონაცემთა რელაციური მოდელის მიხედვით (Database Management System) სიმრავლური მათემატიკური ცნების საფუძველზე. მონაცემთა ბაზა სტრუქტურირებულია წყაროს, მასზე მიბმული პირებისა და რეგისტრირებული ფაქტოიდების გარშემო.

სამართავ პანელზე წარმოდგენილია შემდეგი ველები: ეთნიკური ჯგუფი, სარწმუნოება/კონფესია, ენები, ორგანიზაციები, ადგილის ტიპები, ორდენები, ადგილები, პირები, წყაროს ტიპი, დაცულობის

ადგილი, წყაროები, ფორმა, პასუხისმგებელი ორგანოები, ფაქტის ტიპები, ფაქტოიდები, ლექსიკონი, ნარატივი, ხელმომწერები, ბაზის შესახებ, შესახებ ინგლისურ ენაზე და თარგმანი.

ეს არის საქართველოს კათოლიკური მისიების ორენოვანი პროსოპოგრაფიული ბაზის 1.0 ვერსია, რომელიც ფუნქციონირებს საცდელ რეჟიმში, რაც გულისხმობს ცალკე გამოყოფილ რედაქტირების მოდულს.

ბაზის განვითარების სტრატეგია ითვალისწინებს ეგოცენტრული სოციალური ქსელის ფორმირებას თითოეული რეგისტრირებული პირის ირგვლივ დინამიური ვიზუალიზაციის ბიბლიოთეკის[14] გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობს პიროვნების ირგვლივ არსებული სოციალური ქსელისა და კავშირების სისტემატურ კვლევას.

შეჯამების სახით, კვლავ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ინოვაციური ტექნოლოგიები ისტორიკოსებს უზრუნველყოფს ისტორიული ინდივიდების მასშტაბური და სიღრმისეული შესწავლის შესაძლებლობებით. ციფრული პროსოპოგრაფია წარმოადგენს დინამიურ კვლევით სფეროს, რომელსაც მუდმივი ზრდისა და ინოვაციის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. საერთო სტანდარტების, მოდელებისა და ინსტრუმენტების შემუშავებით ისტორიკოსებს შეუძლიათ უფრო დეტალურად და სისტემურად იკვლიონ წარსულში მოღვაწე ადამიანთა ცხოვრება.[15]

დამოწმებანი

დობორჯგინიძე ნინო, მაია დამენია, თამარ ჭეიშვილი და ანა ჭკუასელი. 2023. *საქართველოს კათოლიკური მისიების ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობა.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცელობა.

Keats-Rohan, Katharine. 2000. Prosopography and Computing: A Marriage Made in Heaven? *International Journal of Humanities and Arts Computing* 12 (1): 1–11.

Pierau, Karl. 2002. Datenbank- und Informationsmanagement in der Historischen Sozialforschung. *Historical Social Research, Supplement* (14): 1-221.

Stone, Lawrence. 1971. Prosopography. *Daedalus* 100 (1): 46-79.

14 იხ. https://visjs.org/

15 ამ საკითხს მიეძღვნა ედინბურგის უნივერსიტეტში 2023 წლის 8-9 დეკემბერს გამართული ვორქშოფი Entangled Prosopographies. Connecting the 'Prosopographies of the Later Roman and Byzantine Worlds' Across the Eastern Mediterranean and Beyond [ჩახლართული პროსოპოგრაფიები. გვიანდელი რომაული და ბიზანტიური სამყაროების პროსოპოგრაფიების დაკავშირება აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში და მის მიღმა], რომელშიც დიდი ინტერესით მივიღეთ მონაწილეობა.

Kadmos. A Journal of the Humanities 16.2024: 198-213
Received: 4/3/2024
Accepted: 2/4/2024
CC BY-NC

Maia Damenia
Ilia State University, Georgia
maia.damenia.1@iliauni.edu.ge
DOI: 10.32859/kadmos/16/198-213

Prosopographic Database of Catholic Missions in Georgia

Abstract

The paper shows how the Digital Humanities serve as both a methodological framework and a conceptual lens through which we can explore complex historical phenomena, such as the interactions between Europe and Georgia. By harnessing digital tools, we can analyze vast datasets, visualize intricate relationships, and reconstruct historical narratives that were previously obscured by the limitations of traditional research methods. Digital methodologies can augment our understanding of socio-cultural exchanges and political dynamics in medieval and modern history. The study of the achievements of Catholic missionaries in Georgia in the 17th-19th centuries is based on Italian, Latin, French, Russian and Georgian sources, most of which are not yet published. The primary sources are preserved in Italian archives and hold significant value from the religious, cultural, philological, social, legal, political, and historical perspective. By applying cutting-edge digital humanities methods, particularly through the creation of a prosopographic database based on factoids, we will be able to explore and visualize key issues in the social history of this period.

In the prosopographic database of missions we developed, we convert data from primary sources into a digital format, and process it according to the required standards. The data is then integrated into the database structure.

As a result of our research, we have created a new platform in digital humanities – a bilingual prosopographic database of Catholic missions of Georgia. This resource is valuable in many ways, as it enables the study of the interactions between religious groups. It also sheds light on the political and cultural orientations of the kings and princes, revealing a clearer picture of the relationships between the principalities.